ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ორშაბათი, 25 ივნისი № 1505

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

სასტიკ და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სოფ. მცხეთას, საკუთარ სახლში, 23 ივნისს გარდაიცვალა

თ. კონსტანტინე დავითის ძე გ. დევანიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი, შვილები, რძალი და სიძე. პანაშვიდები ყოველ დღეა. მიცვალებულს დაჰკრძალვენ მცხეთაში, სვეტი-ცხოვლის ტაძრის გალავანში 27 ივნისს, დილის 11 საათზე. (2—1)

სკოლა და პანსიონი ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—10)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. ნ. მაცილოვი—თვალისა 11—12 სა თამდე.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

მ. გ. ფელდროვი—შინაგანი და ბავშვთ 1—2 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^{1}/_{2}$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათამდე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სავინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). (წლ.) ტელეფონი № 274.

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ჟ ღ ე ნ ტ ი დაინიშნა ტფილისის ადგილობრივ ბრიგადის უფროსის სამმართველოს მორიგ შტაბ-ოფიცრად.

სამოქალაქო უწყებას:

ლაზარევის ინსტიტუტის აღმოსავლეთ ენების დოცენტის თანამდებობის აღმასრულებელს ტიტულიარნი სოვეტნიკს ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ებოძა კოლეჟსკი ასსესორობა.

ებოძათ ქუთაისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელეთ: ბ ა ქ რ ა ძ ე ს კოლეჟსკი სეკრეტრობა, ხოლო რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ს—კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 24 ივნისს, ნაძალადევში გაიხსნა ქ-ნ მ. ი. დემურიას თაოსნობითა და გამგებლობით, „ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მესამე **ბიბლიოთეკა-სამკითხველო.** დილის 11 საათზე ბიბლიოთეკის სადგომში გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ: „ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ თავმჯდომარე თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ. სულთან-კრიმ-გირეი, ქართულ ჟურნალ გაზეთების წარმომადგენელნი, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის ზოგიერთი წევრი და დიდძალი ხალხი, რომელიც ბიბლიოთეკის სადგომში არ ეტეოდა და იდგა ეზოში და ქუჩაში. ბიბლიოთეკა კარგა მოზრდილ ორ ოთახშია მოთავსებულ და რიგიანად არის მოწყობილი.

ვუსურვებთ ამ ახალს სიმპატიურს დაწესებულებას განვითარებასა და სრულს გამარჯვებას.

✦ ფინანსთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა განსაკუთრებულის კომისიისა, რომელსაც საგნად აქვს შეიმუშაოს ახალი წეს-რიგი იმისა, თუ როგორ უნდა გასცენ **სესხი ხორბლის გირაოთი რკინის გზებმა.**

✦ ჩვენ მივიღეთ კიევიდან შემდეგი **წერილი:** „კიევის ქართველ სტუდენტობამ მიიღო თქვენს პატივცემულ გაზეთის რედაქციაში შეკრებილი ფული (31 მ. და 10 კ.). შემ იმწირველთ ვუცხადებთ ჩვენ გულითადს მადლობას და ვიმედოვნებთ, რომ სხვებიც მიბაძვენ მათს მაგალითს და გაგვიადვილებენ ვალის გადახდას. ქართველი სტუდენტების მინდობილობით **შ. ჩიტაძე**“.

✦ დ. ჯურუყვეთიდან (ოზურგეთის მაზრა) გვწერენ: „ივნისში სადგურ ჯუმათის ახლო დანიშნული იყო წარმოდგენა **სოფლის ღარიბ სამკითხველოს** სასარგებლოდ. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. შემოსავალიც კარგი იყო—50 მან. მადლობის ღირსნი არიან, ვინც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო და ღარიბ ბიბლიოთეკას შემწეობა აღმოუჩინა“.

✦ დიდი გვალვების შემდეგ, 12 ივნისს, დილის ცხრა საათზე, რაჭის მაზრაში, დონის ახლო **საშინელი ნიაღვარი** მოვარდნილა. მთის წყალს, რომელიც ჩაუდის რაჭის მიხეილის სახელობაზე აგებულ სასწავლებელს, 2 საჟენი მოუმატნია, კალაპოტიდან გადმოვარდნილა და მოდებია სკოლის ეზოს. წყალი ირგვლივ შემორტყმა სკოლის, სადაც ამ დროს ეგზამენები იყო. მოსწავლეები შიშმა აიტანა. ზარის რეკაზე მოვიდნენ სოფლელები და მოსწავლეები ხელით გაიყვანეს სკოლის ეზოდან. წვიმა ნახევარი საათი გაგრძელდა და ნიაღვარი სულ 5—10 წამი იყო, მაგრამ სკოლა საშინლად დააზარალა: მოთხარა ერთ ადგილას მიწა $^{3}/_{4}$ არშინზე, აავსო ეზო ქვებითა და სილით, წაიღო ასამდე დარგული ხეხილი, 40-მდე ვაზი და სამი საუკეთესო სისტემის სკა. მასწავლებლისა და მოსწავლეების ამდენი ხნის ნამგდარი ხუთ წამში გაანიავა ნიაღვარმა. წვიმასა და ნიაღვარს მოჰყვა მსხვილი სეტყვა, რომელმაც მეტად დააზარალა ზემო რაჭა. ს. წოლაში გაფუჭებულია ვენახები და პურისა და სიმინდის ყანები. დაზარალებულია აგრეთვე ს. სამიწო. ქვემო რაჭაში, ს. სადმელში, ბუგეულში და სხვაგან სულ გაანადგურა ყანები. საზოგადოდ ზარალი დიდია. მარტო ზემოხსენებულ სკოლას მოუვიდა 300—400 მანეთის ზარალი.

პროვინცია

ს. ლაჯანა (ლეჩხუმის მაზრა). ლეჩხუმი საზოგადოთ ძრიელ ჩამორჩენილია მეაბრეშუმეობის საქმეში. ერთი სასაცილო და თან სამწუხარო შემთხვევა გამოიწვია წელს ს. ლაჯანის აბრეშუმის დადგმამ: ს. ლაჯანის მცხოვრებლებს შეპირებული ჰქონიათ, რომ მათ სოფელში აბრეშუმის დადგმა არავის შეეძლება. მთავარ ანგელოზის ეკკლესია აქვთ და ის გვიწყენს და ამოგვაგდებს სეტყვით და ნიაღვრით, თუ აბრეშუმი დავიდგითო, და მართლაც წრევანდლამდე არც არავის გაუბედნია აბრეშუმის დადგმა. წელს კი აბრეშუმი დაიდგა თავადის ასულმა ცუცუნია გელოვანმა. აბრეშუმმა მშვენივრად იხეირა და უკანასკნელ ასაკში რომ იყო, დღეს თუ ხვალ ცახებზე ატოლდებოდნენ, ლაჯანლებმა ყური მოჰკრეს ამ მათთვის ფრიად სამწუხარო ამბავს დაუყოვნებლად მეაბრეშუმე თავადის ასულს დეპუტაცია მიუგზავნეს და სთხოვეს—ეს მათი სოფლის და ეკკლესის ფრიად შემწიკვლელი მატლები გადაეყარა, ანუ მდუღრის მოსხმით იქვე დაეხოცა. წინაადმდეგ შემთხვევაში, ლაჯანლები ემუქრებოდნენ: ან ხატზე გადავცემთ, ან სასამართლოში გიჩივლებთო. ლაჯანლები დარწმუნებული იყვნენ, რომ ხუთას მანეთ ჯარიმას გარდაკახდევინებდნენ ამისთანა «ავკაცობის» ჩამდენს. რასაკვირველია, თავადის ასულმა ცივი უარი უთხრა დეპუტატებს: გენებოსთ, სასამართლოში მიჩივლეთ, გენებოთ, მთავარ ანგელოზთან დამასმინეთო. პატივცემული დეპუტაცია გაწბილებული უკანვე დაბრუნდა წყევლა კრულვით და მგონი კიდეც გადასცეს ხატზე. ჩივილი ვიდაცას ჩაგონებით ვეღარ გაბედეს, თორემ არძა დაწერილი ჰქონიათ მოსამართლის მისართმევად, ხოლო წყევლა კრულვა კი ბევრი და უბევრესი აქვს, თუ რამე ჩვეულებრივი ბუნების ცვლილება დაინახეს.

მაყურებელი კაცი ნ. ხ.

წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ, ბ-ნო რედაქტორო, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ როგორც მე, აგრეთვე ჩემთან ერთად უღმობელ ხვედრით გადმოხვეწილ ქართველთა მხრივაც ქვემოთ დასახელებულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ხელი მოგვიმართეს კუნძულ სახალინზე ქართულ ბიბლიოთეკა სამკითხველოს დაარსებაში ფულისა და წიგნების შემოწირვით. სია შემომწირველთა: პიატიგორსკის რაზმის პორუჩიკს ზაქარია ჟორჟოლიანს, რომელმაც არ დაიზარა და თავის ნაცნობებში შეკრიბა ფული 13 მან. გამოგვიგზავნა: შემოსწირეს თითო მანეთი ნ. ქორქაშვილმა, მიხ. ავალიანმა, გლ. თოდოშვილმა, თავ. ბ. ბაგრატიონ დავიდოვმა, ნიკ. ხუნდაძემ, ძუი მიქაშავიძემ, ილს. თოფურიამ, გ. დორთქიფანიძემ, გ. ანდღულაძემ, ილ. სვანაძემ, ალექ. ახვლედიანმა, ვ. მაჭუტაძემ 50 კაპ. ზაქარია ჟორჟოლიანმა 1 მან. 30 კ., უცნობმა ექიმმა—20 კ., ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა შემოსწირეს 10 მან. გაზეთის დასაკვეთად; ქ. სოხუმის მცხოვრებმა ს. თურქიამ—5 მან. კუნძულ სახალინზე მცხოვრებთ შემოსწირეს: ვლადიმერ გიორგაძემ 5 მან., გრიგოლ ჩიტაევმა 7 მან., თავ. ალექსანდრე ფალავანდიშვილმა 5 მან., ვასო ჩიხლაძემ 3 მან., პირველ გილდის ვაჭარმა შ—ირანიანცმა 17 კაპ. ამ (ირანიანცს 160,000 მანეთის ნაღდ ფულის შეძლება აქვს). პიატიგორსკში მცხოვრებმა ვარდო ივან. პოგასლოვმა ხუთმანეთად ღირებული სხვა და სხვა წიგნები; ბ-ნ ანტონ ფურცელაძემ სამი წიგნი, უცნობმა ორი ცალი აკაკის თვიური ჟურნალი «კრებული»-სა; სულ შემოწირულება მივიღეთ 48 მანეთი 17 კაპიკი, აქედან წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად დაგვეხარჯა 29 მ. ეს რამდენი ხანია აღნიშნულ სახალინის კუნძულზედ გადმოხვეწილი ქართველები შევუდექით ქართულ წიგნთ-საცავ სამკითხველოსა და პირველ დაწყებით სკოლის აგებას, მაგრამ ჩვენ, როგორც ხელ-მოკლე—სიღარიბეში მყოფ ქართველებმა მარტო, სასურველად მათი დასრულება ჯერ ვერ შევძელით, ხოლო გულ-შემატკივარი კი ძალიან ცოტანი გვყავანან. ამიტომ მივმართავთ და ვთხოვთ ყველას შეძლების და გვარად შემწეობა აღმოგვიჩინონ წიგნებისა თუ ფულის შემოწირულებით, რითაც საშუალებას მოგვცემენ ამ შორეულს ქვეყანაში მივაწოდოთ გონების მასალა მსურველ ქართველ მკითხველებს, რომ ფიზიკური სასჯელი გონება-ზნეობის წვრთნა-ვარჯიშობით შეიმსუბუქონ და სულიერად თავისი ადამიანური ღირსება არ დაჰკარგონ. ვინც კეთილ ინებებს და შემოგვწირავს რამეს, ამ ადრესით გამოგვიგზავნონ: Островъ Сахалинъ, Александровскій постъ. г-ну начальнику округа для передачи завѣдивающему грузинскою читальнею Александру Григорьевичу Ардишвили.

სახალინის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს დამაარსებელი ალექსანდრე გ. არდიშვილი.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 ივნისი.

რაგაცი. იმპერიის კანცლერად ნამყოფი თავ. ჰოჰენლოე აქ გარდაიცვალა.

იოკაგამა. მანჯურიაში არეულობა თანდათან ვრცელდება. მეამბოხე ჩინელთა რაზმი მდინარე იალუზე გადავიდა, მაგრამ უკანვე დაბრუნებულ იქმნა კორეიის ჯარებისაგან, რომელთაც 12 კაცი დაჰკარგეს. კორეიის იმპერატორმა აღკრძალა კორეიის დარაჯების იაპონურის თოფებით შეიარაღება.

ვაშინგტონი. რუსეთის რწმუნებულმა ოფიციალურად დაამტკიცა სტატს.სეკრეტარის გეისაგან ნოტას მიღება რუსეთის მიერ დადებულ გარდასახადების შესახებ; როგორც ამბობენ, რუსეთის პასუხში აღთქმულია ამერიკელთა წინადადების სერიოზუ-

ლად განხილვა და გამოთქმულია სურვილი, რომ რუსეთმა შეერთებულ შტატებთან კარგი პოლიტიკური, სავაჭრო და სამრეწველო დამოკიდებულება იქონიოს.

პეტერბურგი. ლიუტერანთა წმ. ანნას ეკლესიაში 23 ივნისს მოხდა წესის აგება ნავარინის ომში უკანასკნელს მონაწილეობის მიმღებ გენერალ ადიუტანტის გრაფ გეიდენისა; წესის აგებას დაესწრო ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე, ელინთა დედოფალი და ყველა დიდი მთავრები; გარდაცვალებულის გვამი დაასაფლავეს დედათა ახალ მონასტერში.

სარატოვი. პურის მოსავალი ერთნაირი არაა, საზოგადოთ საშუალოზე ნაკლებია; ქვავისა და პურის მოსავალი უფრო ნაკლებია. ხალხი აცხადებს, რომ პური სათესლედ და საჭმელად არ ეყოფა. გუშინ კაი წვიმა მოვიდა.

ვორონეჟი. ერთი თვის გვალვის შემდეგ, გუშინ და დღეს კაი წვიმა მოვიდა. იქნება ფეტვი გამოკეთდეს; ქვავის მოსავალი საზოგადოთ საშუალოზე ნაკლებია, პურისა ერთნაირი არაა. ქვავისა და მეტადრე პურის ფასი სწრაფად მატულობს; სპეკულიანტები მხნედ მოქმედებენ, მით უმეტეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ გუბერნიებში მოუსავლობაა. ბალახი ცოტა გათიბეს; ზოგან არ გაუთიბნიათ.

ეკატერინოსლავი. წვიმა მოვიდა, სიცხე აღარაა, მაგრამ პური უკვე წახდა. ქვავი მომკილია; ზოგან მარცვალი სულ არა ჰქონდა; ხოლო, სადაც ჰქონდა, ცუდი და ცოტა ხორბალი გამოდის, იქნება სათესლედაც არ იკმაროს. ქერსა მკიან, პური ადგილ-ადგილ სულ დამწვარია სიცხისაგან; დანარჩენი ყანები და ბოსტნებიც ცუდია. სამოვარი ბალახი არაა.

პეტერბურგი. 23 ივნისს ტიბეტის დალაი-ლამის საგანგებო ელჩები პეტერგოფის დიდ სასახლეში ხელმწიფე იმპერატორს და ხელმწიფე დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს წარუდგნენ.

24 ივნისი.

პეტერბურგი. შავი ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად დაწესებული კომისია აცხადებს, რომ კონსტანტინეპოლი შავი ჭირის მხრივ საშიშრადაა ცნობილიო.

სამხედრო მინისტრი, გენერალი კუროპატკინი ალექსანდრეს სამხედრო იურიდიულ აკადემიის საპატიო წევრად დაინიშნა.

ლონდონი. კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან, რომ რკინის გზის სადგური როდეპორტი გუშინ ბურებმა დასწვესო. ბურები უკუ აგდეს; 2 კაცი მოუკლეს და 7 დაუჭრეს. ინგლისელებს 1 დაუჭრეს. კიტჩენერი დასძენს, რომ გუშინ, როცა ბურები ვაბაისპრუტს ახლო მატარებელს დაეცნენ, ინგლისელებს, უკვე ცნობილს ზარალს გარდა, კიდევ 10 კაცი დაუჭრეს. მეტ დაწვრილებით ცნობას კიტჩენერი აღარ იუწყება.

პარიზი. პალატა. ვალდეკ-რუსსომ წაიკითხა ბრძანება სესსიის დახურვის შესახებ და სხდომა დაიხურა.

იაროსლავლი. შინაგან საქმეთა მინისტრმა როსტოვში საკრებულო ტაძარი და მონასტერი დაათვალიერა. მინისტრმა დაწესებულებათა წარმომადგენლები და სოფლის მამასახლისები მიიღო.

მოსკოვი. დევიჩიე პოლეზე, რომ სამი სახაზინო ღვინის საწყობია, ამათგანი დღეს ერთი აკურთხეს. ამ საწყობში 1,200,000 ვედრა ღვინო მზადდება და 800 კაცი მუშაობს.

ვიატკა. გვალვის გამო ანეულისა და გაზაფხულის ნათესობის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია. ამ ბოლოს დროს წვიმა მოვიდა და ორლოვსკის მაზრაში ანეულები გამოკეთდა. რამდენიმე მაზრაში გაზაფხულის ნათესობის მოსავალი ცუდია.

პარიზი. სენატი. იუსტიციის მინისტრმა ბძანება წაიკითხა სესსიის დახურვის შესახებ. სხდომა დაიხურა.

ვაშინგტონი. ზღვათა სამინისტრომ ევროპის ზღვებში ხელ მეორედ დააწესა სადგური, რომელიც ესპანიასთან ომის დროს დაიხურა, და ამ სადგურის უფროსად ადმირალი კრომველი დანიშნა. უმთავრესი ბინა კრომველს, ალბად, ხმელთა შუა ზღვაში ექნება.

ხარკოვი. დღეს აქ მოვიდა დ. ს. ს. პეტროვი, რომელიც საადგილ-მამულო ბანკის აქციონერთა საგანგებო კრების თავმჯდომარედაა დანიშნული. ამ ბანკს ამას წინად საკრედიტო კანცელარიამ რევიზია გაუკეთა. როგორც ცნობილია, რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ბანკს 18.431,000 მანეთის ვალდებულება ჰქონია, რის დასაკმაყოფილებლად ბანკს 11 მილიონამდე აქვს; ამნაირად პასსივი შვიდ მილიონ ნახევრით აღემატება აქტივს. ბანკისათვის საჭირო თანხის შესაკრებად შემდეგი პროექტია შედგენილი: მთავრობისაგან სესხად უნდა მიიღონ 6.000,000, აქციონერებმა—6.000,000 მილიონი უნდა გადაიხადონ 42,000 აქციაში, თითოში 145 მანეთი და ახალი აქციები უნდა გამოსცენ.

ოლეკმინსკი. პეტერბურგიდან იაკუტსკში ექსპედიცია მოვიდა მამონტის მოსაძებნად. შესაძლებელია, რომ სამ თვეზე მიაღწიონ იმ ადგილს, საცა მამონტი იმყოფება.

უფა. სტერლიტამაკის მაზრაში მელეუზის სოფელში სეტყვამ 3000-ზე მეტი დესეტინა ნათესობა გაანადგურა.

ომსკი. 40 გადუსი სიცხეა. ბალახს და ყანებს ჭია სჭამს.

პეტერბურგის ბირჟა 22 ივნისს.

გექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,80
ბერლინზე 100 მარკაში.	45,92 1/2
პარიზზე 100 ფრანკში	37,27 1/2
ლონდონზე ჩეკები	94,45
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,52 1/2
ბირჟის დისკონტი	5 1/2—7%
4% სახელმწიფო რენტა. . . .	96 1/8 გაყიდ.
4 1/2% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 1/4 „
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	371 1/2 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	298 1/2 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	217 3/4 გამყიდვ.
3 1/2% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	89 1/4 „
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	— „
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5%გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი **ალ. ჭყონია.** გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) სათოსტო—გადის სადამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავრო—გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); სათოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის სადამ. 8 ს. 18 წ. (9 ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: სათოსტო მატარ. გადის სადამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის სადამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) სათოსტო მატარ. ბაქომდე გადის სადამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 27 ივნისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, მის თანადასწრებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **ორლოვის ქუჩის მოკირწყვლა**; სამუშაოს ღირებულობა 3255 მან. 35 კაპ.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია დაწვრილებითი პირობები განიხილოს გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 28 ივნისს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით 63 დაფასების გეგმების მომზადება ლიტოგრაფიით, 1475 მანათის ღირებულობისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან დაწვრილებითი პირობები განიხილოს გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ნ. (3—1)

საყურადღებოდ

ბათუმში, ბაზრის ქუჩაზე, სამოქალაქო სასწორის პირდაპირ, **კობეშავიძის მაღაზიაში** მიღებულია ვარშავიდან სხვა და სხვა ხის და ცინკის

კუბოები

თავისი გვირგვინებით. იქვე იძლევა ქირით ვანები.

(8—91—8) **მიხეილ კობეშავიძე.**

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—10)

თხზულება

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ეტიუდები თ. ხუსკივაძისა ისყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. ვისაც სურს, რომ დაკლებულ ფასად იყიდოს, მან უნდა მოგვმართოს ჩვენ, გამომცემელს ამ ადრესით: Квирилы Ивану Ардишвили (10—7)

ცარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ სამოცი (60) ვაკანსია არის: ორმოცდა ათი (50) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და ათიც მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

60 ვაკანსიიდან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის, 3 მისაღებად საზოგადოების სრულს ხარჯზე და 2—საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთების ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანტორისაგან**, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ ჰსურთ შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთა ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერი კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ—მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე. ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20 მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему дворянской школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ-მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31-ში მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერმა შემოდგომა უნდა წარმოადგინოს თავიდან ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელსაც სკოლის გამგეობა შეეძლოს მიმართოს, რადგანაც ფული თავ-თავის დროზე შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევისათვის. (10—5.—1)

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში**: შ. არაგვისპირელის **ჯირელი წობენი**, ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგარეთა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**უღლის ქვეშ**“, თარგმანი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, **ფასი ერთი მანეთი**. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიათ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდება მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფულს (მანეთ ნახევარს) წინდაწინვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Іюня 1901 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.